ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ№ 36

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 5 ივლისი 2017 წელი

ერთის მხრივ, -ა(ა)იპ „კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი"(შემდგომში დამკვეთი"),წარმომადგენელი დირექტორის ლელა ადეიშვილის სახით და **მეორეს მხრივ** შპს „ხელოვნების ოფიციალური ტანსაცმლის სახლი" სახით

(შემდგომში „შემსრულებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია 7.5 (სამოცდაშვიდი) ლარის (CPV 22400000) ბუნებრივ ხეზეს შეფილული ბანდოლები, ყელსახვევები ბაფთა ყელსაბამები და სხვადასხვა ფერების ტყავი

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოსსადერატიზაციო და სადეზინფექციო მომსახურეობის გაწევა.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან *2017 წლის* 20 ივლისამდე *ჩათვლით.*

3.2 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ქუთაისი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ადგილი და გრაფიკი (ვადები)

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.3 ანაზღაურების ადგილია *ქ. ვანი*

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთს უფლება აქვს:

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელს ყოველი გადაცილებული დღისათვის გადაახდევინოს პირგასამტეხლოს სახით შესასრულებელი სამუშაოს 0.15 %

6.2 „დამკვეთი" ვალდებულია:
--მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
-- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
6.3. „შემსრულებელს" უფლება აქვს:
-- მოსთხოვოს „დამკვეთს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.4 „შემსრულებელი" ვალდებულია:
-- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხიმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 5/07/2017 წ. 21/08/2017 ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა და სხვა)

ზეგავლენით, რომის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატება.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებიბას მხარეთა შორის წამოჭრილი დაეები ან აზრთა სხვადასხაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეპები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურდიული მისამართები და რეკვიზიტები:

დამკვეთი:

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი

ბ/კ LBRTGE22

ს/კ 229658625

(ხელის მოწერა)

შემსრულებელი:

ბ/კ MJBAGE22

ა/ა GE54PC0013600100045900

ს/კ 412704505

(ხელის მოწერა)